ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119241732**

თარიღი:**21/06/2024**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2024 წლის 28 ივნისს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ბ) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

გ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის ივნისის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

დ) მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი